

საუბნო საარქივო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია

მუნიციპალიტეტების საკრებულოების
2019 წლის 27 თებერვლის
შუალედური არჩევნები

სარჩევი

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი	3
საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი კენჭისყრის წინა დღეს (26 ოქტომბერი)	7
საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს (27 ოქტომბერი)	11

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი

1. საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი:

- ▶ ინვევტ საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას;
- ▶ უძღვებით საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას.

2. ადმინისტრაციული ფუნქციები:

- ▶ უფლება გაქვთ, დავალება მისცეთ კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანს და კომისიის სხვა წევრებს;
- ▶ უფლება გაქვთ, კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეთ განკარგულება;
- ▶ იღებთ და თქვენი რეზოლუციით ანაწილებთ საუბნო საარჩევნო კომისიაში შემოსულ საარჩევნო საბუთებს და საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე შემოსულ კორესპონდენციას;
- ▶ პასუხისმგებელი ხართ საოლქო საარჩევნო კომისიისგან საარჩევნო დოკუმენტაციის, ინვენტარის და სხვა მასალების მიღებისთვის, შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის.
- ▶ საჯაროობის უზრუნველსაყოფად გაითვალისწინეთ, რომ საარჩევნო უბანზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს:
 - საუბნო საარჩევნო კომისიის საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და სხვა რეკვიზიტები;
 - საარჩევნო ადმინისტრაციის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობას;
 - საუბნო საარჩევნო კომისიისა და კომისიის თავმჯდომარის განკარგულებები;
 - ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (კედლის სია ფოტოსურათების გარეშე), ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანის და უზუსტობების გასაჩივრების წესი და ვადები.

ყურადღება!

- ▶ კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მეორე დღისაგანდმოგეცემათ დაზუსტებული სიების საბოლოო ვერსიები (საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი ვერსია – სამაგიდო სია და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნილი ვერსია – კედლის სია).
- ▶ საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნილი კედლის სიის თავდაპირველი ვერსია უნდა ჩამოხსნათ და იმავე ადგილას დაზუსტებული ვერსია გამოაკრათ.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი კენჭისყრის წინა დღეს (26 ოქტომბერი)

1. კენჭისყრის შენობის მონყობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი:

- ▶ პასუხისმგებლობა გეკისრებათ კენჭისყრის შენობის მონყობისათვის. გაითვალისწინეთ:
 - კენჭისყრის შენობაში ყოველი 500 ამომრჩევლისთვის უნდა მოეწყოს არანაკლებ ერთი კენჭისყრის კაბინა, სადაც უნდა იყოს ერთი კალმისტარი (საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას შშმ ამომრჩევლებისთვის ადაპტირებული კენჭისყრის კაბინა);
 - უნდა გამოიყოს ადგილები ამომრჩეველთა რეგისტრაციისათვის და განთავსდეს მაგიდები რეგისტრატორთა რაოდენობის შესაბამისად;
 - თვალსაჩინო ადგილას უნდა დაიდგას გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი;
 - საარჩევნო ყუთთან ახლოს უნდა დაიდგას მაგიდა სპეციალური კონვერტებისთვის;
 - უნდა გამოიყოს ადგილი ფოტოვიდეოგადაღებისთვის (მიზანშეწონილია გამოიკრას წარწერა – ფოტოვიდეოგადაღების ადგილი).
- ▶ მდივნის მაგიდაზე უნდა განთავსდეს გამადიდებელი ლინზა მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის და სპეციალური ჩარჩო უსინათლო ამომრჩევლებისთვის.
- ▶ კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს:
 - ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (კედლის სია);
 - ამომრჩეველთა სპეციალური სიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (კედლის სია);

- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (კედლის სია);
- კანდიდატთა სია;
- ხმის მიცემის ინსტრუქცია და ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი;
- ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია საარჩევნო ბიულეტენი ბათილი;
- კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი;
- თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება აღნიშნულის შესახებ კენჭისყრის შენობასა და ფარული კენჭისყრის კაბინებში.

2. საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი:

გახსოვდეთ: კენჭისყრის დაწყებამდე არაუგვიანეს 12 საათისა საოლქო საარჩევნო კომისიისგან უნდა მიიღოთ საარჩევნო ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები. მიღებისას შეადარეთ გადმოცემული საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობა მიღება-ჩაბარების აქტში შეტანილ მონაცემებს. გადაამოწმეთ, რომ საარჩევნო ბიულეტენებზე მითითებული იყოს თქვენი საარჩევნო უბნისა და საარჩევნო ოლქის ნომრები.

**საუბრო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის
უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს
(27 ოქტომბერი)**

07:00-08:00 საათი

- 07:00 საათზე გახსენით საარჩევნო უბანი, ტელეფონით შეატყობინეთ საოლქო საარჩევნო კომისიას საარჩევნო უბნის გახსნისა და კომისიის წევრთა კვორუმის (7 წევრი) თაობაზე.

- გადაეცით კომისიის მდივანს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი, სარეგისტრაციო ჟურნალი, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი და სადემონსტრაციო ოქმი (იკვრება თვალსაჩინო ადგილას).

- შეამოწმეთ კენჭისყრის შენობაში მყოფი უფლებამოსილი პირების სააკრედიტაციო მოწმობები (ძალაშია პირადობის მოწმობასთან ერთად). გახსოვდეთ, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ პირებს.

- ყველას დასანახად შეამოწმეთ იმ პაკეტების მთლიანობა, რომლებშიც მოთავსებულია კომისიის სპეციალური ბეჭედი და რეგისტრატორების ბეჭდები და გახსენით ისინი. კომისიის მდივანს ბეჭდების ნომრები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-9 გვერდზე.

- ჩაატარეთ წილისყრა კომისიის წევრებს შორის გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის 2 წევრის გამოსავლენად (წილისყრაში არ მონაწილეობენ საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები).

გახსოვდეთ, თუ წილისყრით გამოვლენილი გადასატანი ყუთის წამლები კომისიის წევრი უარს განაცხადებს მისთვის მინიჭებული ფუნქციის შესრულებაზე, იგი კარგავს კომისიის წევრთა სხვა ფუნქციების გასანაწილებლად ჩასატარებელ მორიგ წილისყრაში მონაწილეობის მიღების უფლებას.

გახსოვდეთ, რომ წილისყრით გამოვლენილი გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ ერთი და იმავე პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრები.

-
- ჩაატარეთ მორიგი წილისყრა კომისიის წევრთა შორის დარჩენილი ფუნქციების (ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი, ამომრჩეველთა რეგისტრატორი, საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრები) გასანაწილებლად. კომისიის მდივანს წილისყრის შედეგები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.
-
- გამოაცხადეთ ამომრჩეველთა რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიან სიაში, ამომრჩეველთა სპეციალურ და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კომისიის მდივანს მონაცემები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-6 გვერდზე და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმში (სადემონსტრაციო ოქმსა და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა შეიტანება კენჭისყრის დასრულების შემდგომ).
-
- გამოაცხადეთ მიღებული საარჩევნო ბიულეტენების და სპეციალური კონვერტების რაოდენობები. კომისიის მდივანს მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა შეაქვს სადემონსტრაციო ოქმში და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-6 გვერდზე.
-
- შეამოწმეთ, რომ საარჩევნო ყუთები იყოს ცარიელი. ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები დალუქეთ ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქით. კომისიის მდივანს საარჩევნო ყუთის ლუქის ნომრები და დალუქვის დრო შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.

- ❑ თითოეულ ამომრჩეველთა რეგისტრატორს გადაეცით: 300-ამომრჩევლიანი სია (ამომრჩეველთა სპეციალური სია გადაეცით ერთ-ერთ რეგისტრატორს), საარჩევნო ბიულეტენი თითო ბლოკნოტი, მარკირების სითხე, რეგისტრატორის ბეჭედი. კომისიის მდივანს რეგისტრატორების ბეჭდების ნომრები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

გაითვალისწინეთ!

- ✓ რეგისტრატორებმა უნდა გადაამოწმონ ბლოკნოტში საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის სიზუსტე, რის შემდეგაც რეგისტრატორებთან ერთად ხელი უნდა მოაწეროთ საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელზე არსებულ მიღება-ჩაბარების აქტზე.
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრატორის ბეჭდები საჭირო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა ან ბეჭედი დაზიანდა, შეამცირეთ რეგისტრატორების რაოდენობა.
- ✓ ერთ-ერთი რეგისტრატორის მაგიდაზე განათავსეთ გამადიდებელი ლინზა მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის და სპეციალური ჩარჩო უსინათლო ამომრჩევლებისთვის.

-
- ❑ ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელს გადაეცით მარკირების შესამოწმებელი ულტრაიისფერი ფარანი.

-
- ❑ საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველს გადაეცით სპეციალური კონვერტები და ძირითადი საარჩევნო ყუთი.

-
- ❑ კომისიის წევრებისათვის მასალების გადაცემის შემდეგ რეკომენდებულია, კენჭისყრის დაწყებამდე, კომისიის მდივანთან ერთად შეავსოთ საკონტროლო ფურცლის თვითკოპირებადი ფორმა (გარდა პირველი ამომრჩევლის შესახებ მონაცემებისა). ყურადღება მიაქციეთ, რომ საკონტროლო ფურცელს კომისიის ყველა დამსწრე წევრმა მოაწეროს ხელი.

08:00 საათიდან

- საარჩევნო უბანზე მოსვლისას პირველი ამომრჩეველი გადის რეგისტრაციას და იღებს საარჩევნო ბიულეტენს. ამის შემდეგ მიუთითეთ კომისიის მდივანს, პირველი ამომრჩევლის შესახებ მონაცემები (სახელი, გვარი და საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი) შეიტანოს საკონტროლო ფურცელში და ხელი მოაწერინოს პირველ ამომრჩეველს. კომისიის მდივანს პირველი ამომრჩევლის მონაცემები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.

საკონტროლო ფურცლის ერთი ეგზემპლარი ჩააგდეთ ძირითად საარჩევნო ყუთში, მეორე ეგზემპლარი – გადასატან საარჩევნო ყუთში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო მესამე ეგზემპლარი შეინახეთ.

-
- პირველი ამომრჩევლის მიერ რეგისტრაციის გავლის შემდეგ ტელეფონით შეატყობინეთ საოლქო საარჩევნო კომისიას ძირითადი საარჩევნო ყუთის და გადასატანი საარჩევნო ყუთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დალუქვის, საკონტროლო ფურცლის/ფურცლების შესაბამის საარჩევნო ყუთში/ყუთებში მოთავსების და კენჭისყრის დაწყების შესახებ.

ხმის მიცემის პროცესის მიმდინარეობისას გაითვალისწინეთ:

- თუ მარკირების შესამოწმებელმა სპეციალურმა ხელსაწყომ გამოავლინა რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. კომისიის მდივანს ამომრჩევლის ვინაობა შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.
- ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობს თუ ამომრჩეველთა შესაბამის სიაში საქართველოს მოქალაქის პირად ნომერთან, სქესთან და ფოტოსურათთან ერთად სრულად ემთხვევა სიაში არსებულ მონაცემთაგან (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი) სამი მაინც.

- თუ ამომრჩეველთა რეგისტრატორმა ამომრჩევლის სახე პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ან ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათი ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნია, მან უნდა მოგმართოთ თქვენ აღნიშნული შეუსაბამობის დადასტურების თაობაზე.

თუ დაადასტურებთ შეუსაბამობას, მიუთითეთ კომისიის მდივანს, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი (ამომრჩევლის სახელის, გვარის და ამომრჩეველთა სიაში მისი რიგითი ნომრის მითითებით). ეს ჩანაწერი კომისიის მდივანთან ერთად დაასტურეთ ხელმოწერებით. კომისიის მდივანმა ჩანაწერთა წიგნს უნდა დაურთოს მისი ხელმოწერით დადასტურებული ამომრჩევლის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი.

თუ არ დაადასტურებთ შეუსაბამობას, ამომრჩეველთა რეგისტრატორს უფლება აქვს, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ჩაწეროს თავისი განსაკუთრებული აზრი. კომისიის მდივანმა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში უნდა გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი (ამომრჩევლის სახელის, გვარის და ამომრჩეველთა სიაში მისი რიგითი ნომრის მითითებით). ეს ჩანაწერი რეგისტრატორმა და კომისიის მდივანმა უნდა დაადასტურონ ხელმოწერებით. კომისიის მდივანმა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს უნდა დაურთოს მისი ხელმოწერით დადასტურებული ამომრჩევლის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი.

გემოაღნიშნული პროცედურების შესრულების შემდეგ ამომრჩეველს მიეცით კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

- თუ ამომრჩეველი უარს აცხადებს მარკირების პროცედურის გავლაზე, არ მისცეთ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.
- თუ კენჭისყრის პროცესში გამოვლინდა, რომ ამომრჩეველმა საარჩევნო სიაში ხელი მოაწერა სხვა ამომრჩევლის გვარის გასწვრივ არსებულ გრაფაში, ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველს, რომლის გვარის გასწვრივ ფიქსირდება ხელმოწერა, უნდა მიეთითოს, ხელი მოაწეროს იმავე გრაფაში. ამასთან, მიუთით-

თეთ ამომრჩეველთა რეგისტრატორს, აღნიშნულის თაობაზე დაწეროს ახსნა-განმარტება (ამომრჩევლის სახელის, გვარის და ამომრჩეველთა სიაში მისი რიგითი ნომრის მითითებით).

- თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მიეცით მითითება ამომრჩეველთა რეგისტრატორს, რომ ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი ახლით. გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოაჭერით კუთხე, დააწერეთ „გაფუჭებულია“, ხელი მოაწერეთ და ცალკე შეინახეთ.
- თუ ამომრჩეველს არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება, ყურადღება მიაქციეთ, რომ კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად არ იქნას მიწვეული საარჩევნო კომისიის წევრი, კანდიდატი, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელი და დამკვირვებელი. ამომრჩევლისთვის დახმარების აღმოჩენა შეუძლია ნებისმიერ პირს, გარდა ზემოთ აღნიშნული პირებისა.
- თუ ამომრჩეველი ფიზიკური მდგომარეობის გამო (ზედა კიდურების არქონა) ვერახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას, ამ შემთხვევაში შეახსენეთ ამომრჩეველთა რეგისტრატორს, რომ ამომრჩევლისათვის საარჩევნო ბიულეტენის გადაცემისას შესაბამისი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“ გააკეთოს ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა“ და აღნიშნული ჩანაწერი ხელმოწერით დაადასტუროს.
- ამომრჩეველი, რომელსაც ერთიან სიაში მინიჭებული აქვს სტატუსი „იმყოფება უცხოეთში“ ან „საკონსულო აღრიცხვა-ზეა“, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებს ზოგადი წესით.


09:00 საათიდან

- ❑ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის ჩატარება დაავალეთ წილისყრით გამოვლენილ კომისიის 2 წევრს და გადაეცით მათ:
 - ❑ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია;
 - ❑ ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი;
 - ❑ სპეციალური კონვერტები (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული ამომრჩეველების შესაბამისად);
 - ❑ დალუქული გადასატანი საარჩევნო ყუთი, რომელშიც მოთავსებული უნდა იყოს საკონტროლო ფურცელი;
 - ❑ გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილის ლუქი (გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი ილუქება გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის დასრულების შემდგომ).

კომისიის მდივანს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე შეაქვს გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრებისთვის გადაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა, ასევე გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბნიდან ნაღების დრო.

10:00, 12:00, 15:00 და 17:00 საათზე

სთხოვეთ ამომრჩეველთა რეგისტრატორებს, კენჭისყრის პროცესისთვის ხელისშეუშლელად გადაითვალონ ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერებისა და მათ მიერ გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობები (კომისიის თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის ჩათვლით). გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის დადგენა შესაძლებელია კომისიის თავმჯდომარისგან მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობასთან რეგისტრატორთან დარჩენილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის შედარებით. გადაამოწმეთ მონაცემთა სისწორე შემდეგი ფორმულით:



თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, ამომრჩეველთა რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, ხოლო მასში ასახული მონაცემები გაითვალისწინოთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსებისას.

დააჯამეთ თითოეული რეგისტრატორისგან 10:00, 12:00, 15:00, 17:00 საათზე მიღებული ხელმოწერების რაოდენობა მათ მიერ დაწერილი ახსნა-განმარტებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით და მონაცემი დაუყოვნებლივ გააგზავნეთ მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS-ით) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მონოდებულ ნომერზე.

12:00 და 17:00 საათზე ამომრჩეველთა სიებში დათვლილი კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა კომისიის მდივანს შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-6 გვერდზე და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმში.

რეგისტრატორებისგან მიღებული მონაცემები ასახეთ ცხრილში

გადამონშეთ მონაცემები		რეგისტრატორი					გააგზავნეთ SMS-ით
		I	II	III	IV	V	
10 სთ	გაცემული ბიულეტენები						ხელმოწერების ჯამი ↓
	გაფუჭებული ბიულეტენები						
	ხელმოწერების რაოდენობა						
12 სთ	გაცემული ბიულეტენები						ხელმოწერების ჯამი ↓
	გაფუჭებული ბიულეტენები						
	ხელმოწერების რაოდენობა						
15 სთ	გაცემული ბიულეტენები						ხელმოწერების ჯამი ↓
	გაფუჭებული ბიულეტენები						
	ხელმოწერების რაოდენობა						
17 სთ	გაცემული ბიულეტენები						ხელმოწერების ჯამი ↓
	გაფუჭებული ბიულეტენები						
	ხელმოწერების რაოდენობა						

გადამონშეთ მონაცემთა სისწორე შემდეგი ფორმულის გამოყენებით: რეგისტრატორების მიერ გაცემულ ბიულეტენების რაოდენობას – გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა = ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობის.

20:00 საათამდე

გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანზე უნდა დაბრუნდეს არაუგვიანეს 20 საათისა. გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბანში დაბრუნებისთანავე მიუთითეთ კომისიის მდივანს შემომწმოს გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული ხელმოწერების, გამოუყენებელი ან/და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების და სპეციალური კონვერტების რაოდენობის სისწორე. უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებმა კომისიის წევრებმა უნდა დაწერონ ახსნა-განმარტება მიზეზის მითითებით. ახსნა-განმარტებაში ასახული მონაცემები გაითვალისწინეთ კენჭისყრის შედეგები შემაჯამებელი ოქმის შევსებისას.

გამოუყენებელ ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს ჩამოაჭერთ კუთხე, დააწერეთ გაფუჭებულია და ხელი მოაწერეთ. კომისიის მდივანს, ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში, გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა, ასევე საარჩევნო უბანში საარჩევნო ყუთის დაბრუნების დრო შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.

20:00 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე


□ 20:00 საათზე კენჭისყრა დასრულებულად გამოაცხადეთ. დაავალეთ კომისიის ერთ-ერთ წევრს, დაითვალოს რიგში მდგომი ამომრჩეველების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კომისიის მდივანს აღნიშნული მონაცემი შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე. კენჭისყრის დასრულების შემდეგ დახურეთ საარჩევნო უბნის კარი და დალუქეთ საარჩევნო ყუთის ჭრილი.

□ მიუთითეთ კომისიის მდივანს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის 26-ე გვერდზე შეიტანოს ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფი პირების მონაცემები.

- მნიშვნელოვანია, რომ კენჭისყრის დასრულების შემდეგ, წილისყრის ჩატარებამდე, დაავალთ ამომრჩეველთა თითოეულ რეგისტრატორს, დაითვალონ გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის მიხედვით გაცემული ბიულეტენების გათვალისწინებით), გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა და ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა მათ ხელთ არსებულ ერთიან და სპეციალურ სიებში (მათ მიერ დაწერილ ახსნა-განმარტებებში აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით).

გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის დადგენა შესაძლებელია კომისიის თავმჯდომარისგან მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობასთან რეგისტრატორთან დარჩენილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის შედარებით.

გადაამონმეთ მონაცემთა სისწორე შემდეგი ფორმულით:



თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, დაავალეთ ამომრჩეველთა რეგისტრატორს, ხელახლა გადაითვალოს და დააბუქტოს რაოდენობები. თუ მონაცემებს შორის სხვაობა კვლავ გამოვლინდა, სთხოვეთ ამომრჩეველთა რეგისტრატორს, დაწეროს ახსნა-განმარტება, ხოლო მასში ასახული მონაცემები გაითვალისწინეთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსებისას.

- ზემოთ აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდეგ დაავალეთ რეგისტრატორებს დაითვალონ კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა გენდერული მონაცემები (ქალების რაოდენობა) ამომრჩეველთა ყველა სახის სიაში. მონაცემები მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას.

რეგისტრატორებისგან მიღებული მონაცემები ასახეთ ცხრილში

გადაამონშეთ მონაცემები		რეგისტრატორი					გააგზავნეთ SMS-ით
		I	II	III	IV	V	
საბოლოო 20 სთ	გაცემული ბიულეტენები						ხელმონწერების ჯამი ↓
	გაფუჭებული ბიულეტენები						
	ხელმონწერების რაოდენობა						
	არჩევნებში მონაწილე ქალების რ-ბა						

- ❑ ხმის დათვლის პროცედურის დაწყების მიზნით, კომისიის წევრებს შორის ჩაატარეთ წილისყრა ოთხი მთვლელის გამოსავლენად. კომისიის მდივანს წილისყრის შედეგები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.
-
- ❑ ჩაატარეთ წილისყრა საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან არაუმეტეს 2 წარმომადგენლის გამოსავლენად, რომლებიც მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში. გახსოვდეთ, წილისყრაში არ მონაწილეობენ იმ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, რომელთა მიერ დანიშნული კომისიის წევრებიც არიან წილისყრით გამოვლენილი მთვლელები. კომისიის მდივანს წილისყრის შედეგები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.
-
- ❑ თუ დამკვირვებლები თავიანთი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით ვერ შეარჩევენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესის მეთვალყურე პირებს, დამკვირვებელთა შორის ჩაატარეთ წილისყრა 2 მეთვალყურის გამოსავლენად. კომისიის მდივანს შესაბამისი მონაცემები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

- მიუთითეთ მთვლელებს, დაითვალონ ამომრჩეველთა ხელმონერების რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიან სიაში, ამომრჩეველთა სპეციალურ და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კომისიის მდივანს მთვლელების მიერ დათვლილი ამომრჩეველთა ხელმონერების რაოდენობა, ამომრჩეველთა რეგისტრატორების მიერ დაწერილ ახსნა-განმარტებებში აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-6 გვერდზე და სადემონსტრაციო ოქმში.

- მიუთითეთ კომისიის მდივანს, ცალ-ცალკე პაკეტებში ჩაალაგოს ამომრჩეველთა ერთიანი, სპეციალური და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სამაგიდო ვერსიები, გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენები. კომისიის მდივანმა პაკეტში მოთავსებამდე გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს უნდა ჩამოაჭრას კუთხე.

- მიუთითეთ მთვლელებს ცალ-ცალკე დალუქონ ამომრჩეველთა ერთიანი, სპეციალური და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიების სამაგიდო ვერსიები, ასევე გამოუყენებელი და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების პაკეტები და ამომრჩეველთა რეგისტრატორების ბეჭდები.

დალუქვის ზოლზე ხელი მოაწერეთ მთვლელებთან ერთად. პაკეტზე მიუთითეთ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დასახელება და ნომერი, საარჩევნო დოკუმენტაციის სახე.

საარჩევნო ყუთის გახსნა, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსება

- შეამოწმეთ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ლუქების მთლიანობა.

- ❑ პირველ რიგში, გახსენით გადასატანი საარჩევნო ყუთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მთვლელები ამოწმებენ საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და ადგენენ მის და კომისიაში შედარების მიზნით შენახული საკონტროლო ფურცლის იდენტურობას.

- ❑ გახსენით ძირითადი საარჩევნო ყუთი. მთვლელები ამოწმებენ საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და ადგენენ მის და კომისიაში შედარების მიზნით შენახული საკონტროლო ფურცლის იდენტურობას.

- ❑ გახსენით გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მთვლელები ამოწმებენ საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და ადგენენ მის და კომისიაში შედარების მიზნით შენახული საკონტროლო ფურცლის იდენტურობას.

- ❑ თუ ყველაფერი ნესრიგში აღმოჩნდა, მთვლელებმა ერთმანეთში უნდა შეურიონ გადასატანი, ძირითადი და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილი სპეციალური კონვერტები.

- ❑ დალუქეთ საკონტროლო ფურცლები. დალუქულ პაკეტზე მიუთითეთ საარჩევნო უბნის დასახელება, ნომერი, დოკუმენტების სახეობა და ხელი მოაწერეთ.

- ❑ მიუთითეთ მთვლელებს, დაახარისხონ საარჩევნო ბიულეტენები.

გაითვალისწინეთ!

- ✓ პირველი მთვლეელი: სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენს; ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობას; აცხადებს, ვისთვისაა მიცემული ხმა; საარჩევნო ბიულეტენებს საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემული ხმების მიხედვით გადასცემს მეორე და მესამე მთვლელს; ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენებს, საეჭვოდ მიჩნეულ საარ-

Lined writing area consisting of 20 horizontal lines.

ჩვენო ბიულეტენებსა და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენებს გადასცემს მეოთხე მთვლელს; სპეციალურ კონვერტს დებს ცალკე.

- ✓ მთვლელები: ცალ-ცალკე აწყობენ ბიულეტენებს, თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმების შესაბამისად; დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენებს; ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენებს; საეჭვოდ მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენებს.

-
- კომისიასთან ერთად სათითაოდ უყარეთ კენჭი საეჭვოდ მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გადანყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრობის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

-
- მიუთითეთ მთვლელებს, დაითვალონ ბათილი საარჩევნო ბიულეტენები და თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმები/საარჩევნო ბიულეტენები.

-
- გამოაცხადეთ თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა და კომისიის მდივანთან ერთად შეამოწმეთ მონაცემების სისწორე. კომისიის მდივანმა მიღებული შედეგები უნდა შეიტანოს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-6 გვერდზე და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმში.

-
- მიუთითეთ მთვლელებს, შეკრან და დალუქონ: ბათილი საარჩევნო ბიულეტენები (ცალკე ილუქება სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ბათილი საარჩევნო ბიულეტენები, ასეთის არსებობის შემთხვევაში), თითოეული კანდიდატის კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენები.

თითოეული კანდიდატის კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების პაკეტზე მიუთითეთ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დასახელება და ნომერი, კანდიდატის მონაცემები (სახელი და გვარი) და საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.

ბათილი საარჩევნო ბიულეტენების პაკეტზე უნდა მიეთითოს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დასახელება და ნომერი, საარჩევნო ბიულეტენების სახეობა და რაოდენობა.

პაკეტების დალუქვის ბოლზე ხელი მოაწერეთ მთვლელებთან ერთად.

- კომისიის მდივანი თქვენთან შეთანხმებით ავსებს კენჭისყრი შედეგების შემაჯამებელ ოქმს. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამომრჩეველთა რეგისტრატორების ახსნა-განმარტებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებული.

კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რითაც დასტურდება მათი ყოფნა საარჩევნო უბანზე. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი უნდა დაამოწმოს კომისიის სპეციალური ბეჭდით.

კომისიის მდივანი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს რეგისტრაციაში ატარებს სარეგის ტრაცხო ჟურნალში გასული დოკუმენტაციის ნაწილში.

გაითვალისწინეთ! აკრძალულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონა ცემების გადასწორება.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და შესწორების ოქმის შედგენის წესი იხილეთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციაში – ნაწილი III, თავი III, ქვეთავი „კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა“.

- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლების გაცემისას (მოთხოვნის შემთხვევაში) კომისიის მდივანთან ერთად ხელი მოაწერეთ და დაამოწმეთ კომისიის სპეციალური ბეჭდით. ფოტოასლის მიმღები პირი ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერით ადასტურებს მის მიღებას.

გაითვალისწინეთ! კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმთან/შესწორების ოქმთან დაკავშირებული კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოთხოვნის საფუძველზე გაიცემა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში.

- ცალ-ცალკე პაკეტებად დალუქეთ კომისიის სპეციალური ბეჭედი (კომისიის სპეციალური ბეჭდის დალუქულ პაკეტს კომისიის ყველა წევრი აწერს ხელს); კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი განცხადებებთან/საჩივრებთან ერთად.

გახსოვდეთ! სარეგისტრაციო ჟურნალი და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი არ ილუქება.

- დალუქული საარჩევნო დოკუმენტაცია დიდ ყუთში/ტომარაში მოათავსეთ და მიიტანეთ საოლქო საარჩევნო კომისიაში. ყუთისგან/ტომრისგან განცალკევებით წაიღეთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, შესწორების ოქმთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სარეგისტრაციო ჟურნალი, კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნისა და განცხადება-საჩივრების დალუქული პაკეტი.

გაითვალისწინეთ!

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია განცხადებაზე/საჩივარზე (ასეთის არსებობისას) დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება და აღმოფხვრას არსებული დარღვევა.

კენჭისყრის დღის განცხადებასთან/საჩივართან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარის მიერ განსახორციელებელი უფლებამოსილებები დეტალურად იხილეთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის IV ნაწილში.
